ცნობის ფურცელი

№ 1762 ყოველ-დღიური გაზეთი 1896—1902 კვირა, 24 მარტი № 1762

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ სურათებიანი დამატების მე-33 №-რი.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის წარმომადგენელი აცხადებს ამხანაგობის წევრთა საყურადღებოთ, რომ ტფილისში კვირას, 31 მარტს 1902 წ., დილის 10 საათზე, სამეურნეო ბანკის სადგომში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლში) დანიშნულია წევრთა

საზოგადო წლიური კრება.

ვინაიდგან დანიშნულ დღეს წევრთა კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა და კრება არ შესდგა, კრება გადაიდება შემდეგი კვირისათვის, 7 აპრილს, და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება ამხანაგობის 1-ლ წლის მოქმედების ანგარიშისა. 2) განხილვა და დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1902 წლისათვის. 3) ამხანაგობის წესდების გადასინჯვა-შეცვლა და დამატება ზოგიერთ §§-სა. 4) ამხანაგობის ძირის თანხის გაძრიელება და საზოგადოთ მოსაზრება საქმის უკეთესად წარმოებისათვის. 5) მოსაზრება იმაზე, თუ რამდენად მოსახერხებელი იქმნება ამხანაგობის სააქციონერო საზოგადოებად გარდაქმნა. 6) არჩევანი გამგეობის ორი წევრისა და მათი ნაცვლების, საბჭოს ხუთი წევრისა და მათი ნაცვლების. (ნ. 3—2)

სამეურნეო ბანკის

წლიური

საზოგადო კრება

დანიშნულია კვირას, 24 მარტს, დილის 11 საათზე, ბანკისავე დარბაზში. (ნ. 2—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

ექიმები:

ა. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. ვ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 11—2 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—9 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274 (წლ.)

ექიმი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ტელეფონი № 642.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. გაზეთის მკითხველმა იცის, რომ გერმანიამ შეიძინა ოსმალეთის სულთანისაგან ბაღდადის რკინის გზის კონცესია. ვისაც კი გამოუთქვამს თავისი აზრი ამ საქმის შესახებ, ყველა იმ აზრისაა, რომ ამ კონცესიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს; ბაღდადის რკინის გზის პატრონი ბატონი იქნება მთელის მცირე აზიისა, რომელსაც ასეთი დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს და რომელსაც დიდი ეკონომიური მომავალი ექნება. მცირე აზიაში უდიდესი ინტერესი საფრანგეთსა და რუსეთს აქვს. როგორ უნდა მოქცეულიყო ეს ორი სახელმწიფო ბაღდადის რკინის გზის კონცესიის მოწყობის დროს? რასაკვირველია, წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ გერმანიისათვის, მაგრამ საქმე ის არის, რომ მცირე აზიაში ორთა კავშირის წევრების ინტერესი ერთმანერთს ეწინააღმდეგება: რუსეთი მფარველია მართლ-მადიდებლობისა, რომელიც რამდენიმე საუკუნეა ებრძვის (მეტ წილად უნაყოფოდ) მცირე აზიაში კატოლიცისმს, რომლის ოფიციალური და ფაქტიური ქომაგი საფრანგეთია. საფრანგეთს დიდ-ძალი ეკონომიური და კულტურული ინტერესები აქვს მცირე აზიაში და ეს ინტერესი დიდ საფრთხეში ჩავარდება იმ დღეს, როცა რუსეთი ამიერ-კავკასიიდან სამხრეთისაკენ გაიწევს. მართალია, არც გერმანიის გავლენის გაძლიერებაა საფრანგეთისათვის სასურველი, მაგრამ გერმანიის მხრივ მატერიალური „გაწევა“ მცირე აზიისაკენ უოვლად შეუძლებელია და ამიტომაც არც საფრანგეთის ინტერესები იქნება ზემოდაღნიშნულ საფრთხეში. ამიტომაც მოხდა, რომ საფრანგეთის ეხლანდელმა მთავრობამ არჩია სხვა გზას დამდგარიყო.

ბაღდადის რკინის გზას დიდ-ძალი ფული სჭირდება. თავისუფალი ფული-კი იმდენი არსად არ მოიძებნება, რამდენიც უოვლად მდიდარ საფრანგეთში მოიპოვება. გერმანია, შედარებით, უფრო ღარიბია და ამიტომ მარტო მას ძალიან გაუჭირდებოდა ხსენებულ რკინის გზის გაყვანა. ამიტომაც მოხდა, რომ გერმანელებმა საფრანგეთის კაპიტალისტებს მიჰმართეს. საფრანგეთის მთავრობამაც ამით ისარგებლა და ურჩია კაპიტალისტებს დიდი ეკონომიური მონაწილეობა მიეღოთ ბაღდადის რკინის გზის საქმეში, რომ ამ მონაწილეობის შესაფერი გავლენა მოეპოვა საფრანგეთს ამ მეტად დიდ მნიშვნელოვან საქმეში. რჩევა დაიჯერეს და, თუ მეტი არა, ნახევარი მაინც საჭირო ფულისა ფრანგებმა იკისრეს.

ამ ამბავმა მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთის პრესაზე. უკმაყოფილება გამოთქმული იყო ოფიციალურ გაზეთშიაც —„მეტია ამაზედ ლაპარაკით, ამბობს „ვესტნიკ ფინანსოვ“-ი, რომ რუსეთი ხელს ვერ შეუწყობს იმ გზის გაყვანას, რომელიც გააძლიერებს უცხოელების გავლენას მცირე აზიაში, და მით უმეტეს მავნებელია ჩვენის ინტერესებისათვის იმ გზის გაყვანის დაჩქარება, რომელიც კონკურენციას გაუწევს ჩვენს პურს გერმანიის ბაზარზედ“.

როგორც ვხედავთ, ფრანგების მონაწილეობა ბაღდადის რკინის გზის საქმეში, მონაწილეობა, რომელიც „ხელს უწყობს ამ გზის გაყვანას და აჩქარებს ამ საქმეს , რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ ყოფილა მიმართული და ეგრეც უნდა ყოფილიყო: რუსეთისა და საფრანგეთის ინტერესების მორიგება ახლო აღმოსავლეთში გარდუვალ სიძნელეს წარმოადგენს.

საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის სიტყვით, ანატოლიის კამპანია, რომელმაც მიიღო ბაღდადის რკინის გზის კონცესია, გამოიცვლება და მის მაგიერ ჯერ შესდგება ამ გზის „პროექტის შესწავლის საზოგადოება“; შემდეგ ეს საზოგადოება დაუთმობს ადგილს მეორე საზოგადოებას, რომელსაც ერთად აირჩევენ დაინტერესებული მხარეები და რომელშიაც საფრანგეთს როგორც აშენებისა და ექსპლოატაციის მხრივ, ისე გამგეობის მხრივაც ისეთივე მონაწილეობა ექნება, როგორც გერმანიას. დელკასემ ისიც დაუმატა, რომ რუსეთსაც შეეძლება ამ საქმეში მონაწილეობა მიიღოს, მაგრამ, ჯერ ერთი, ფული ძვირობს და მეორე, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, რუსეთმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ არ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმეში, ალბად, საფრანგეთის გასაფრთხილებლად.

„ნოვოე ვრემია“, რომელიც მეტ წილად მთავრობის აზრს ამბობს განსაკუთრებით საერთაშორისო საქმეების შესახებ, შემდეგ აზრს გამოთქვამს დელკასეს პოლიტიკის შესახებ: „დელკასე ჰფიქრობს, რომ საფრანგეთის მონაწილეობა ბაღდადის რკინის გზის—ან როგორც ინგლისლები ამბობენ—„გერმანიის სუეცის არხის“ გაყვანაში გაავრცელებს საფრანგეთის გავლენას აღმოსავლეთზე. ეგ შემცდარი აზრია, საფრანგეთის გავლენა შემცირდება. ბაღდადის გზა პოლიტიკური საქმეა, გერმანელებმა გადასწყვიტეს ეს საქმე, სანამ გამოანგარიშებული იყო მისი ეკონომიური მხარე. მისი მფლობელი (გერმანია და საფრანგეთია, დელკასეს აზრით, და მარტო გერმანია რუსულ გაზეთის აზრით) უთუოდ პრეტენზიას აცხადებს მცირე აზიაში პოლიტიკურ ბატონობის გავრცელებაზე, რასაც რუსეთი თავის დღეში არ დასთმობს. ეს ყველასათვის (დელკასესათვისაც) ცხადი უნდა ყოფილიყო. აქამდე საფრანგეთს არ ეწინააღმდეგებოდა რუსეთი მცირე აზიაში (იყო რამდენიმე შემთხვევა, განსაკუთრებით პალესტინაში), პირ იქით, ეხმარებოდა კიდეც (კათოლიკების და მართლ-მადიდებლების მორი-

ფელეტონი

ნორვეგიის მწერლობა

ნორვეგიელ შესანიშნავ მწერლების—ბიერნსონისა და იბსენის სახელი ქართველ მკითხველსაც კი გაუგონია. ყველამ იცის, რომ ამ ორმა მწერალმა, განსაკუთრებით იბსენმა, საქვეყნო სახელი მოიხვეჭეს და პატარა ნორვეგია ევროპის გონებრივ ფერხულში ჩააბეს; ყველას გაეგონება, რომ იბსენის ყოველი დრამა მაშინვე ითარგმნება ევროპიულ ენებზე და იდგმება საუკეთესო სცენებზე. მაგრამ ის კი ცოტას ვისმე ეცოდინება და გაეგონება, რომ ნორვეგიის ლიტერატურას, რომელსაც ეხლა ასეთი ბრწყინვალე წარმომადგენლები ჰყავს, სულ ორმოცდა-ათის წლის ისტორია-ღა აქვს. ქართველის მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ამ პატარა ხალხის ეხლა მდიდარ მწერლობის მოკლე ისტორია.*)

I

ოთხასი წელიწადი ნორვეგია დანიას ემორჩილებოდა პოლიტიკურად და კულტურულადაც. მართალია, ხალხს თავისი ენა არ დავიწყებია, იგი ნორვეგიულად ლაპარაკობდა და მდიდარი ზეპირი სიტყვიერებაც ჰქონდა, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე მას საკუთარი ნორვეგიული მწერლობა არ ჰქონდა. ერის მოწინავე და განათლებული ნაწილი დანიურ ენაზე ლაპარაკობდა და სწერდა, იყო დანიური ლიტერატურა ნორვეგიაზე, მაგრამ ნორვეგიული ლიტერატურა კი არ არსებობდა, ან როგორ იარსებებდა, როცა ლიტერატურის მკვებავი ნაწილი ერისა გადაგვარებული იყო და ეროვნულ ნორვეგიულ საქმისათვის გული არ შესტკიოდა. მით უფრო გასაოცარი და დასაფასებელია მამულიშვილთა იმ მცირე გუნდის მოღვაწეობა, რომელმაც ხალხი გამოაღვიძა და შექმნა ისეთი ეროვნული ლიტერატურა, რომლითაც შეუძლია იამაყოს ნორვეგიის ერმა.

ნორვეგია განთავისუფლდა დანიისაგან 1814 წელს და აქედან იწყება მისი ახალი ცხოვრება. მისი კავშირი შვეციასთან არის კავშირი თავისუფალ ქვეყნისა, რომელსაც საკუთარი კანონები აქვს და საკუთარი მთავრობა ჰყავს. გონებრივად ნორვეგია მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში განუვითარებელი ქვეყანა იყო. ქ. ქრისტიანია, ნორვეგიის ეხლანდელი სატახტო ქალაქი, მაშინ მიყრუებული პროვინციალური ქალაქი იყო, სადაც არავითარი საზოგადოებრივი ცხოვრება არ ყოფილა. თუ არსებობდა მწერლობა, ისიც დანიურ ენაზე. დამახასიათებელი თვისება იმ დროის მწერლობისა ვიწრო პატრიოტისმია, თუმცა ეს პატრიოტული ნაწერები ნორვეგიულ ენაზე არ იწერებოდნენ. ასეთი მიმართულება ლიტერატურისა ჩვეულებრივი მოვლენაა ყოველ ახალგაზდა ერის ცხოვრებაში, როცა იგი თვით შეგნებასა და საკუთარ ეროვნულ ცხოვრებას იწყებს. ეს მიმართულება ჰქონდა ნორვეგიის ლიტერატურას მეცხრამეტე საუკუნის ოცდა-ათიან წლებამდე. მართალია, ამ პატრიოტულმა მიმართულებამ, რომლის ნიშნობლივი თვისება ერის წარსულის იდეალიზაცია იყო, სამსახური გაუწია ნორვეგიელის ეროვნულ თვით-შეგნების საქმეს, მაგრამ მას თავისი მავნე მხარეც ჰქონდა: ყოველივე ნორვეგიულის მოწონება და წარსულით გატაცება ხელს უშლიდა თანამედროვე სინამდვილის შეგნებასა და დაფასებას, ცხოვრების სუსტ მხარეების დანახვას და მასთან ბრძოლას. ასეთ ნიადაგზე ადვილად გადმოინერგა ეროვნული რომანტისმი, რომელიც დიდხანს მეფობდა ჩრდილოეთში, მაშინ როდესაც თვით ევროპაში უკვე იჩინა თავი ახალმა და ძლიერმა მიმართულებამ. საშუალო საუკუნოების ისტორია სიუჟეტების მხრივ დაუშრეტელი წყაროა ამ ხანის ლიტერატურისათვის. ამ დროის მწერლების ნაწერების ორი მესამედი სავსეა რაინდებისა და ავაზაკების თავგადასავალით.

მაგრამ ამავე დროს წამოიზარდა ახალი თაობა და ლიტერატურაშიაც ახალმა ელემენტებმა იჩინეს თავი. ამ ახალის წარმომადგენელნი იყვნენ პოეტები ვერგელანდი და ველგაფენი, რომელნიც ორ სხვა-და-სხვა მიმართულებას ემსახურებოდნენ. ვერგელანდი ითვლებოდა უფრო დაწინაურებულ დანიის კულტურის მომხრედ, ველგაფენი კი მხურვალედ ჰქადაგებდა ნორვეგიის ეროვნულ აღორძინებას.

ვერგელანდმა დაბეჭდა 1834 წელს ლექსი „ნორვეგის მწუხრი“, რომელმაც მთელი ნორვეგია ააღელვა. პოეტმა წარმოადგინა თავის ქვეყანა მძინარედ, რომელიც გამოღვიძებას ლოთობით სცდილობს. „ნორვეგიელი სვამს პუნშს, ცოლს ირთავს და თამაშობს. დანარჩენ დროს ცხოვრება მიძინებუ-

---

*) Вѣстникъ Воспит., 1902, № 1.

გება უღვლად შეუძლებელია და ამიტომ რუსეთი ვერ მისცემდა მხარს საფრანგეთს, რომელიც კათოლიკეებს მფარველობს)... ჩვენ არ გვშურს საფრანგეთის დაწინაურება, პირიქით. მხარს ვაძლევთ მას, მაგრამ მანამდე, სანამ საფრანგეთი ფრანგულია (ცხადია, რისიც თქმა უნდა ავტორს) და არა გერმანულ-ფრანგული. ამ შემთხვევაში ჩვენ ძველებურად ვერ მოვეპყრობით საფრანგეთს, რადგან სხვა ფრივ მოქცევა ჩვენის ინტერესების უარყოფა იქნებოდა, რასაც ვერავინ ვერ მოგვხოვს (საფრანგეთს კი თვითონ სთხოვს თავის ინტერესების უარყოფას)... დელკასე წინადადებას გვაძლევს ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა ბაღდადის რკინის გზის საქმეში, მაგრამ ეს განა დაცინვა არ არის? ელზას-ლორენში რომ გერმანიამ რამე დიდი პოლიტიკურ-ვაჭრული საქმე დაიწყოს, განა მეტად თავისებური არ იქნებოდა, რომ რუსეთს თვითონაც მონაწილეობა მიეღო და საფრანგეთისათვისაც წინადადება მიეცა საქმის მონაწილე გამხდარიყო? ბაღდადის რკინის გზაც იგივე ელოზას-ლორენია, მხოლოდ მცირე აზიაში და ასეთი ელემენტალური ჭეშმარიტება უფრო გავრცელებული უნდა იყოს, ვიდრე ეს ნამდვილად არის“.

ახალი ამბავი

◆ 22 მარტს ხარკოვიდან ტფილისში ჩამოვიდა და სასტუმრო „ორიანტ“-ში ჩამოხტა საფაბრიკო საოლქო მმართველობის უფროსი გენერალი ა. გ. **გნედიჩი**.

◆ სარწმუნო წყაროდან შევიტყეთ, რომ სადგურ ხაშურიდან ბათუმამდე **მეორე ლიანდაგის** მიმართულების გამოკვლევას აპრილის თვიდან შეუდგებიან. გზის მიმართულების გამოკვლევა ოთხ პარტია-მკვლევართ აქვთ მინდობილი და ამათ უფროსად დანიშნულია ამიერ-კავკასიის რკინის გზის რემონტის უფროსის თანაშემწე ინჟენერი იაკშიჩი. მეორე ლიანდაგის გამოკვლევა უნდა ამ ზაფხულსვე დასრულდეს და მომავალ ზაფხულს კი განზრახვა აქვთ თვითონ ლიანდაგის კეთებას შეუდგნენ.

◆ 25 მარტს, განჯის საზოგადო საკრებულოში დანიშნულია ჩვეულებრივი **ქართული საღამო** „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ. მონაწილეობას მიიღებს, სხვათა შორის, ოპერის არტისტი-ქალი ქ-ნი შულგინა-რიონელი და ქართული ხორო ბ-ნ კავსაძის ლოტბარობით.

◆ „კავკაზ“-ს გაუგია, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზების მოძრაობის ნაწილის უფროსი **ბ. ვერხოვსკოი** გადაჰყავთ კავკასიიდან სხვა ალაგას.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზების მმართველობას თხოვნით მიუმართავს გზათა სამინისტროსათვის—ნება მოგვეცით **სააღდგომოთ ჯილდოები** დავარიგოთო. ამასთანავე მმართველობა თხოულობს გადაწყდეს საქმე 1900 წლის პრემიის დარიგების შესახებ.

◆ გუშინ-წინდელს სხდომაზე ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა გამგეობისა და კომისიის შეერთებულ სხდომის გარდაწყვეტილება ხორცით სავაჭრო **ქალაქის დუქნის** მოწყობის შესახებ და დაამტკიცა იგი. ამასთანავე გამგეობამ გარდასწყვიტა გადადოს დუქნის მოსაწყობად ეხლავე 2700 მანათი იმ კომისიის განკარგულებაში, რომელსაც დაევალა თამამშევის ქარვასლაში დუქნის მოწყობა და ხორცით ვაჭრობის დაწყება.

◆ მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორს პოლკოვნიკ ტროფიმოვს, ტფილისის გუბერნატორს პოლკოვნიკ სვეჩინს და პოლიცმეისტერს კოვალიოვს ებოძათ საბერძნეთის **ორდენები მაცხოვრისა**.

◆ გუშინ, 23 მარტს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ თხოვნით მიჰმართა ტფილისში არსებულ დამზღვევ საზოგადოებათა წარმომადგენლებს მონაწილეობა მიიღონ ტფილისის **ცეცხლის მქრობელ რაზმის** შესანახ ხარჯებში.

◆ ხვალ, 25 მარტს, ქალაქის გამგეობა, განსაკუთრებულ კომისიასთან ერთად, ხელმეორედ დაათვალიერებს იმ ადგილსა და სახლს, სადაც განსვენებულის ნ. ზუბალაშვილის სახელზე **შეუძლებელთა მოსათავსებელი თავშესაფარი** უნდა გაკეთდეს.

◆ მიწად-მოქმედების სამინისტრომ, თანახმად მინისტრის წარმომადგენლის კავკასიაში შუამდგომლობისა, ნება დართო **აგრონომ ზავაროვს** შვეიცარიაში წასვლისა ყველის კეთების შესასწავლად.

◆ ხუროვის და ფარსადანოვის შენობის დაწვის საქმე სასამართლოს გამომძიებელს გარდაეცა. ყველაზე მეტად ამ ცეცხლმა დააზარალა რკინის გზის **პატარა მოხელეები**, რომელნიც ბლომად სცხოვრობდნენ ამ სახლში. დაზარალებულთ სთხოვეს პოლიცმეისტერს, მოწმობა მოგვეცით, რომ მთელი ქონება დაგვეღუპა ცეცხლისაგანაო. ეს მოწმობა რკინის გზის მოსამსახურეთ უნდათ წარადგინონ რკინის გზების სამმართველოში და დახმარება ითხოვონ.

◆ პირუტყვთა მფარველ ტფილისის საზოგადოებას განუზრახავს საზოგადოების განყოფილება გახსნას ქუთაისში.

◆ შემდეგი **სხდომა** ქალაქის საბჭოს ექნება ხუთშაბათს, 28 მარტს.

◆ ქვემო-მაჩხანის ქსენონის გამგემ საქალაქო საექიმო გამგეობას აცნობა, რომ იქ ძალიან არის გახშირებული **მკითხაობა**, რასაც მცხოვრებნი ძალიან მისდევენ და ქსენონს და წამლებს არაფრად არ აგდებენ. ქსენონის გამგის აზრით, საჭიროა ეხლავე ბრძოლა ამ ცრუ-მორწმუნეობის აღმოსაკვეთად, რომ ხალხმა ირწმუნოს ექიმები და წამლები და არ გადაეგოს გაიძვერა თვალთ-მაქცებზე.

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ამ ჟამად ადგენს კავკასიის **სახელმწიფო ტყეში** მოწესრიგებული მეურნეობის პროექტს.

◆ გუშინ, 23 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე შორაპნის მაზრის, სოფელ ქალის მცხოვრების ზურაბ ალექსანდრეს ძის წერეთლისა, რაჭის მაზრის სოფ. ზოვრეთის თავ. დავით ბესარიონის ძის ერისთავისა და ჭიათურის ნაწილის მცხოვრების ნესტორ კუჭუხიძისა, რომელთაც ბრალდებოდათ ლუკა ჯიქიას ცხენის და ჯორის მოპარვა. ქუთაისის ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ამ საქმეში მხოლოდ ზურაბ წერეთელი და ნესტორ კუჭუხიძე და გარდაუწყვეტია მათთვის პატიმართა გამასწორებელ რაზმში 2 წლის ვადით გაგზავნა. პალატამ ოლქის სასამართლოს განაჩენი კუჭუხიძისშესახებ დაამტკიცა, დ. ერისთავი ამ საქმეში გაამართლა, ხოლო ზურაბ წერეთელს 2 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა 6 თვით ციხეში დაპატიმრებად შეუცვალა. ერისთავსა და წერეთელს იცავდა ფარ. მიხ. კიკნაძე.

◆ ალაგირის ქართულ ბიბლიოთეკისთვის მიგიღეთ გასილ გაღილიასაგან—შვიდი ქართული, ოთხი რუსული და ერთი ლათინური წიგნი, სულ სამ მანეთად ღირებული.

◆ სადგურ „ნავთლუხ“-სა და „ახთაგლას“ შუა პატარა სადგურია. 21 მარტს, ღამის 3 საათზე, აქ ათამდე თათარი შეცვივნულა სადგურის შენობაში უკანიდან, პირდაპირ უფროსი ტელეგრაფის მოხელის გაბო ბოჭორიშვილის ოთახში და, რაც ხელში მოჰხვედრიათ, ყველაფერი წაუღიათ: თოფი, პალტო, ხალიჩები, საბანი, ბალიში და სხვა მრავალი.

ბოჭორიშვილს ამ დაუპატიჟებელი სტუმრების შემოსვლა გაუგია კანტორაში, სადაც იმ დროს მორიგეობას ასრულებდა. ოთახში შესულა დაშეუშვერია. ერთ თათარს ხანჯალი ამოუღია, მარცხენა ხელზე დაუკრა და ოთხი თითი დაუჭრია. გამოძიება სწარმოებს.

საზოგადოთ, რკინის გზის სადგურებზე ქურდობა მეტად გავრცელდა ამ ბოლოს დროს. ამ რამდენიმე დღის წინად სადგურ „კარატაფას“ რკინის გზის სადგურის უფროსს მოჰპარეს ძროხა; მისს თანაშემწეებს შინაური ფრინველები. ამ თვეშივე სადგურ „ბეილუქ-კასინში“ სადგურის უფროსს და მისს თანაშემწეს მოპარეს 50 შინაური ფრინველი—ინდაური, ბატი და ქათამი. ამას სჩადიან ადგილობრივი თათრები.

◆ სადგურ თაუზის ადგილობრივი რკინის გზის მოხელეები მეტად შეწუხებულნი არიან ჩარჩების გამოისობით, რომლებიც აქ ქალაქიდან, განჯიდან და ბაქოდან მოდიან, ყოველგვარ სანოვაგეს ხელში იგდებენ ხოლმე და აღნიშნულ ქალაქებისაკენ გზავნიან.

გზის მოხელეებს ამის გამო მიუმართავთ ადგილობრივ ბოქაულის, ბ-ნ აიდემიროვისათვის, და უთხოვიათ დანიშნოს კვირაში ერთი დღე ბაზრობა სადგურ თაუზში და დაავალოს სოფლის მცხოვრებთ, რომ თავიანთი ნაწარმოები პირდაპირ ბაზარში შემოიტანონ, ჩარჩებს კი ნება არ ჰქონდეთ 12 სა.თზე ადრე რამე იყიდონ სოფლელებისაგან. ეს საფუძვლიანი თხოვნა რკინის გზის მოხელეებისა ბოქაულს მოუხსენებია მაზრის უფროსისათვის, რომელსაც კიდეც შეუწყნარებია იგი და უბძანებია საჩქაროთ სოფლის მცხოვრებთა კრება მოეხდინათ და გადაეწყვიტათ ბაზრობის გამართვა სად. თაუზში. ერილობა უკვე უოფილა და საქმე სასურველად დაბოლოვებულა.

ბოქაულს ერილობის დადგენილება უკვე წარუდგენია მაზრის უფროსისათვის დასამტკიცებლათ.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში, 21 მარტს, ღამით, შემდეგი ბოროტ-მოქმედება მოხდა. ბარხუდაროვის სახლში მცხოვრებ ტფილისის მოქალაქეს აკოფოვის ბინაზე შეცვივნულან სამი ვიღაც უცნობი კაცი, რომელთაც, იმ განზრახვით, რომ [illegible] იცნონ, ნახშირში ამოესვარათ თავ-პირი. სახლში ამ დროს ყოფილიყო მხოლოდ აკოფოვთან მცხოვრები ავდოტია კარპენკოსა, რომლისათვისაც ერთს ქურდთაგანს ხელი გაეკავებია და სხვანი დატრიალებულიყვნენ სახლის გასაქურდათ. ქალს შეშინებია და დაძახება ვერავისი მოუსწვრია. ქურდებს წაუღიათ ფულიანი ყუთი, რომელშიაც ყოფილა 200 მან. ოქროს ფული, 100 მან. ვერცხლისა და 200 მან. თათრული ოქროს ფული. ქურდებს მოუსწვრიათ აგრეთვე ზოგიერთი ნივთების მოტაცებაც. პოლიცია მალე ჩაუდგა კვალში ქურდებს და ერთი მათგანი, გვარად ოღანეზოვი, უკვე დააპატიმრა. ოღანეზოვი ქურდობის ჩადენისათვის ამას წინად პასუხისგებაში ყოფილა მიცემული და ციხიდან დროებით 500 მან. თავდებობით გამოშვებული. დანარჩენ ბოროტ-მოქმედთა დასაჭერად პოლიციისაგან ღონის-ძიებაა მიღებული.

◆ სადგურ ყარაიიდან იტყობინებიან, რომ 23 მარტს, ღამით, ბოროტ-გამზრახველთ გატეხეს ფანჯარა და კარების კლიტე 328 ვერსის სადარაჯოში. დაიჭირეს ოთხი თათარი, რომლებიც ადგილობრივ საერობო დარაჯებს გარდასცეს.

რუსეთის ქრონიკა

∝ გაზეთები იტყობინებიან, რომ ამ დღეებში მოხდა შეერთებული კრება შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენლებისა, რომელთაც თათბირი ჰქონდათ სადგომების გადასახადის ქალაქის თვითმართველობის გადაცემის შესახებ და სადგომების გადამხდელთათვის საქალაქო არჩევნების უფლების მინიჭების შესახებ. ფინანსთა სამინისტრო, როგორც აღმოჩნდა, პრინციპიალურად თანახმაა ამ გადასახადის გადაცემაზე ქალაქებისათვის, რადგან მაინც-და-მაინც დიდ შემოსავალს არ აძლევს იგი ხაზინას. საარჩევანო უფლების მინიჭება განზრახულია მხოლოდ იმათ შესახებ, ვინც არა ნაკლებ 35 მან. გადასახადს იხდის.

∝ მოკლე ხანში დაიწყებს მუშაობას კომისია, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს ღონისძიებანი მიწად-მოქმედების გაძლიერებისა და გაფართოვებისათვის. კომისია შესდგება მიწად-მოქმედებისა და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენელთაგან.

∝ დაჭრილთა მფარველი კომიტეტი აცხადებს სამხედრო სამსახურის პირთა საყურადღებოდ, რომ პეტერბურგის პატრიოტულ საქალებო ინსტიტუტში განთავისუფლდა 11 ვაკანსია სამხედრო სამსახურის იმ პირთა შვილებისათვის, რომელნიც კომიტეტის მფარველობის ქვეშ არიან. თხოვნები უნდა გაეგზავნოს კომიტეტს ამ წლის 29 აპრილამდე.

∝ საერო განათლების სამინისტრომ, საშუალო სასწავლებლების გადაკეთების გამო, რომლებშიაც სავალდებულო იქნება ახალი ენების სწავლება, საჭიროდ დაინახა ამის გამო ახალი ენების მასწავლებლების **პრაქტიკულად მომზადება**. ამიტომ ამ მიმდინარე წელს იგზავნის ძველი ენების მასწავლებლებს საზღვარ გარედ ახალი ენების და ლიტერატურის პრაქტიკულად შესწავლისათვის.

ლია“. ლექსი მწარედ დასცინის ხალხის ხელმძღვანელ პატრიოტებს, რომელნიც ასწავლიან ხალხს აქოს და შეიყვაროს მხოლოდ თავისი ცა, თავისი მიწა, თავის ცივი ნაპირები, დიადად წარმოიდგინოს ის, რისიც ყველას უნდა რცხვენოდეს. „საით მივდივართ? რას ველტვით? უმთავრესი ქალაქი ჭორებს უნდება, ბერგენი მხოლოდ თევზზე ჰფიქრობს და ნორვეგიის უძველესი ქალაქი დრონტგეინი ლაპარაკობს თავის ეკკლესიის ხელახალ შეთეთრებაზე“. ამ ლექსმა დიდათ აღაშფოთა ნორვეგიელი საზოგადოება. ვერგელენდმა ლექსის ცხარე კრიტიკა დასწერა, ატყდა პოლემიკა, რომელმაც ლიტერატურა გამოაცოცხლა და ცოტათი ცხოვრების სინამდვილეს დაუახლოვა

1842 წელს პირველად გამოვიდა ასბიერნსონის ნორვეგიულ ზღაპრების კრებული და აქედან იწყება ნორვეგიის ლიტერატურის ახალი ხანა. ამ კრებულს თან მოჰყვა სახალხო სიმღერების, მოტივების, გადმოცემების და ორნამენტების გამოცემაც.

ვერგელანდი და ველგაფენი ჯერ კიდევ დანიურ ენაზე სწერდნენ, თუმცა მათ ნაწერებში ბევრი წმინდა ნორვეგიული ფრაზებიცაა. ნორვეგიულ ენის ნამდვილი რეფორმატორი ასბიერნსონი შეიქნა; მისი კრებული პირველი ლიტერატურული ნაწარმოებია, რომელიც ხალხურ ნორვეგიულ ენაზე დაიბეჭდა. თან საზოგადოებაში ფეხი მოიკიდა სახალხო მიმართულებამ. მწერალი თუ მხატვარი ყველა გლეხს, მეთევზეს ან მეშის მჭრელ მუშას სთვლის თავის ხელოვნების საგნად. მაგრამ ეს ხალხური მიმართულებაც მეტად იდეალისტიური, სინამდვილეს დაშორებული იყო. ველგაფენმა ამ სანტიმენტალურ პატრიოტისმის წინააღმდეგაც გაილაშქრა და ამით გზა გაუკვალა ახალ. მიმართულებას—რეალისტიურს, რომელმაც თანდა-თან იჩინა თავი ნორვეგიის ლიტერატურაშიაც.

ამ მიმართულების მამა-მთავრადაც იმავ ასბიერნსონს სთვლიან. ასბიერნსონი ნორვეგიულ ბუნების და ცხოვრების ღრმა მცოდნე იყო; თავის კრებულში იგი გვიხატავს იმ მოზღაპრეების ტიპსაც, ვისგანაც მას ზღაპრები გაუგონია. მეორე წარმომადგენელი ფეხ-ადგმულ მიმართულებისა იყო ვერგელანდის და კამილა კოლეტი, რომელმაც პირველმა დასწერა ზნე-ჩვეულების რომანი ნორვეგიის ცხოვრებიდან. თავის პირველ რომანში კოლეტმა სცადა წარმოედგინა თანამედროვე ქორწინების ცუდი მხარეები და წამოეყენებინა ეგრედ წოდებული „ქალთა კითხვა“, რომელსაც აქამდე საპატიო ადგილი უკავია ნორვეგიულ ლიტერატურაში.

დრამატიულ ხელოვნებაში კი ისევ რომანტისმი მეფობდა. საზოგადოება ჩვეული იყო ისეთ პიესების წარმოდგენას, სადაც არა ჩვეულებრივი გმირები ლამაზ და მაღალ ფრაზებს ამბობდნენ. მაგრამ არც ეს პიესები იყო ნორვეგიული: სცენაზე ჯერ კიდევ დანიური ენა მეფობდა.

როგორც ვხედავთ, ნორვეგია მეტად ჩამორჩენილი იყო ევროპიულ ცხოვრებას; მართალია, ნორვეგიულ საზოგადოებაში არსებობდა რამდენიმე მიმართულება, რომელიც ევროპას მოაგონებდა კაცს, მაგრამ ჯერ კიდევ უპირველესი კითხვა ის იყო, აქვს თუ არა უფლება და ძალა არსებობისა ეროვნულ ნორვეგიულ კულტურას. ეროვნული მწერლობა თითქმის არ არსებობდა; ლიტერატურული ენა შეუმუშავებელი იყო. მიუხედავათ ამისა ნორვეგიის ეროვნული აღორძინება დამზადებული იყო. იგი მხოლოდ საჭიროებდა ნიჭიერ გამომხატველსა და გამომთქმელს. მოევლინა კიდეც იგი ნორვეგიას ბიერნსონის და იბსენის სახით. ამ ორ მეთაურთან ერთად მუშობდა მათ მიმდევართა პატარა წრეც. ამათ ენერგიულის და მაღალნიჭიერის შრომის შედეგი იყო, რომ არა თუ შეიქმნა ნორვეგიული ეროვნული ლიტერატურა, იგი ისეთ განვითარებამდე მივიდა, რომ დაიმსახურა ყველა განათლებულ ქვეყნების დიდი ყურადღება და ღრმა პატივისცემა.

II

როგორც ზემოდაც იყო ნათქვამი, ნორვეგიელ სცენაზე დანიური ენა და პიესები მეფობდნენ. აზრი ეროვნულ ნორვეგიულ თეატრის დაარსებისა ეკუთვნის ნორვეგიელ მაშულისშვილს ოლე ბოლს, რომელიც განსაცვიფრებელის ენერგიით შეუდგა საქმეს. მართლაც არაფრისაგან საქმის შექმნა იკისრა ოლე ბოლმა: არც თეატრი იყო, არც არტისტები, არც პიესები. პირველი ნორვეგიული თეატრი ქ. ბერგენში დაარსდა. ბოლმა როგორც იქნა ერთი ხის ბარაკი მოაწყო წარმოდგენებისათვის, ასწავლა არტისტებს ნორვეგიული ენა (ზემოდ ნათქვამი გვქონდა, რომ ნორვეგიული ენა მხოლოდ ხალხმა და პატრიოტების პატარა წრემ იცოდა) და ბოლოს დრამატურგიც იშოვა. ახალგაზდა იბსენი ამ დროს ქრისტიანიაში იყო და პატარა სა-

სამეურნეო ბანკის ანგარიშიდან

—

დღეს, 24 მარტს, დილის 11 საათზე, სამეურნეო ბანკში დანიშნულია მორიგი წლიური კრება ამ ბანკის წევრთა. კრება შესდგება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, რადგანაც მეორედ ინიშნება. კრების საგნებია: განხილვა და დამტკიცება ბანკის მოქმედების ანგარიშისა 1901 წლისა; განხილვა და დამტკიცება ბანკის ხარჯთ-აღრიცხვის 1902 წლისათვის; მოხსენება წლიური მოგების განაწილების შესახებ; მოხსენება სამეურნეო ნაწარმოების გირაოთი სესხის გაცემის გაძლიერების შესახებ; მოხსენება სარეზერვო თანხის დაარსების შესახებ და არჩევნები: ბანკის გამგეობის თავმჯდომარისა და საბჭოს ერთის წევრისა, ნაცვლად გ. ს. განძიელისა და თავ. ნ. ბ. ერისთავისა, რომელთაც, წესდების ძალით, სამსახურის ვადა უთავდებათ. მოგვყავს ზოგიერთი საყურადღებო ცნობა ბანკის წარსულის წლის მოქმედების შესახებ:

1901 წლის განმავლობაში ბანკს მოჰმატებია 49 ახალი წევრი 47.925 მ:ნ. პასუხის გებით; ასე რომ 1902 წლისათვის სამეურნეო ბანკში ყოფილა წევრად 817 კაცი, რომლებიდან სამოქმედო თანხად შეტანილია 87.112. მან. და რომელნიც პასუხს აგებენ 783.918 მანეთზე.

სანგარიშო წელს ბანკს დაუტრიალებია სულ 9.241.416 მან. 60 კაპ., წინა წელზე 2.001,186 მ. 50 კაპ.-ით მეტი.

მიმდინარე ანგარიშზე სანგარიშო წელს ბანკში შეუტანიათ 637.474 მან. 34. კ., გაუტანიათ 571.605 მ. 89 კაპ.; სულ მიმდინარე ანგარიშისა ბანკს, 1900 წელთან შედარებით, 227.264 მ:ნათით მეტი დაუტრიალებია.

სანგარიშო წელს ბანკისთვის მიუბარებიათ: უვადოთ—30.094 მან., ვადით—160,079 მან.; სულ ბანკისთვის სანგარიშო წელს 29,931 მანათით მეტი მიუბარებიათ, ვიდრე წინა წელს.

1901 წელს ბანკს გაუნაღდებია 1811 ვექსილი 565.780 მანათისა, რომელთაგან ბანკის სარგებელი ყოფილა 27.218 მან. წინა წელთან შედარებით ბანკს თამასუქი გაუნაღდებია 31.810 მანათისა მეტი; მსესხებლისაგან ბანკი სანგარიშო წლის განმავლობაში იღებდა $9^{1}/_{2}{}^{0}/_{0}$. პროტესტში წასულა 5135 მანეთის ვექსილი.

სანგარიშო წელს ბანკს გაუცია სესხი:

1) სარგებლიან ქაღალდების გირაოთი 59 სესხი 64.444 მანეთისა; წინა წელზე ნაკლები 4424 მანეთით. 2) საქონლის გირაოთი 13 სესხი 41.851 მანეთისა; წინა წელზე 30.754 მანეთით მეტი. 3) სამეურნეო ნაწარმოების გირაოთი 11 სესხი 9475 მანათისა; წინა წელზე 831 მანეთით ნაკლები.

სულ ბანკს სანგარიშო წელს მიუღია სხვა-დასხვა სარგებელი 35.587 მან. 24 კაპ.; წმინდა მოგება-კი 8719 77 კაპ., რომლიდან თითო წევრს თითო ას მანეთზე ერგება დივიდენდად 8 მ. 15 კაპ.

ცოტა რამ გურიის სახალხო პოეზიაზე

—

არსად ჩვენი სამშობლოს სხვა კუთხეში ისე გავრცელებული არ არის ხალხის უმრავლესობაში წერა-კითხვის ცოდნა-სურვილი, როგორც გურიაში; გარდა ამისა, რომ სწავლის შეძენისათვის გურული არ ზოგავს საშუალებას, ის მელექსეობასაც ძლიერ ეტანება. ხშირად შეგხვდებათ ხალხური ლექსი, ან ხალხში სასიმღეროდ გავრცელებული შაირი ისეთი, რომლებიც ხელოვნების მხრივ და აზრითაც მოსაწონია. ხალხური პოეზია ყველგან ჩვენში ჰქრება და გურიაში კი, მიუხედავად იმისა, რომ ევროპიულად ნათლდება ხალხი, ის ვითარდება, ვარჯიშდება. ამას გარდა გურიაში საყურადღებოა ერთი მოვლენა: აქ ძლიერ გავრცელებული იყო ასე 20—30 წლის წინათ კერძო ოჯახობათ შორის მწიგნობრობა, მოლექსეობა. როგორც ვიცით, ხალხური ჩვეულება, ან პოეზია—თვით ბრბოსაგან კი არ წარმოსდგება, არამედ ერთი-ორი ხალხის წარმომადგენლებისაგან; მხოლოდ ის კია, რომ ასეთი კაცები თავიანთ ლექსებში გამოსთქვამენ ხალხის შეხედულებას, აზრს, სიყვარულს, ამიტომაც მათ ლექსებს ადვილად ითვისებს ხალხი. დასამტკიცებლად იმისა, თუ რამდენად აზროვანია გურული ლექსები—აქ მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:

1) „ამ საძაგელ დროში მყოფი,
ვემგზავსები მარად დამთვრალს;
უბრალო ცილის წამებით,
არ გვაძლევენ ჩვენ სამართალს;
მათ გონიათ კონტრაბანდათ
ჩვენ ვზიდავდეთ ვითომ ფართალს;
დაილოცა მისი ხახა,
ვისაც უთქვამს, პირი მართალს!“

2) „რაღა გვრჩება ძველ დროთაგან,
თუ არ ტკბილი მოგონება;
უხვი გული, პურ-მარილი,
ლხინი, თავის მოწონება
და თქვენსავით მეგობრებთან
ასე ხშირად დროს ტარება!“ *)

3) „ვსწუხობთ ცოტა სიცოცხლესა
მე გავმარტებ ამა პირსა:**)
ზოგი კაცი ერთად ფიქრობს
კარგ საქმეს და გასაჭირსა;
რაც რომ არ აქვს, მისთვის ზრუნავს,
რაც რომა აქვს, არ გაკვირსა,
ერთი დღე ღირს წელიწადათ,
წელიწადი ერთ დღეთ ღირსა!“

4) „უყუროთ წუთი-სოფელსა,
ვინ მოკვდეს, ანუ ვინ დარჩეს;
რომ მქონდეს მისი იმედი,
უნდა შევასქდე ქვას და კლდეს;
სიმდიდრე რა სახმარია,
ის მყავდეს თითსა ილოკდეს,
ასი ათასი მანეთი
გამიპრას-ქინძდეს-ბოლოკდეს!“

ბევრი ასეთი ლექსების მოყვანა შეგვიძლიან, მაგრამ აქ საჭიროდ არ ვსთვლით ამას; სასურველია მხოლოდ, რომ შეიკრიბოს ეს ჩვენი გონების ნაში, ხალხისაგან შეთვისებული პოეზიის ნიშნები. არც ხალხური პოეზია და არც სიმღერები გურული დღემდის შესწავლილი არ არის. უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ქართლ-კახეთის პოეზიას და სიმღერებს მაშინ, როდესაც მრავალი მცოდნე პირებისაგან ასეთი, როგორც, მაგალითად, კორესჩენკოა, გამორკვეულია ის აზრი, რომ ქართლ-კახეთში უცხო ელემენტის გავლენით დაკარგულია ნამდვილი ქართული კილო და გურიაში კი შენახულია. ან კი ვინ უნდა უგდოს ყური ჩვენ საქმეს. ჩვენი ახლად მოვლინებული, განათლებული შვილები სრულ გადაგვარების გზას ადგანან: მათს შვილებს მხოლოდ „ვალსისა“ და „პოლკის“ მეტი არავითარი ჩვენებური სიმღერის ცოდნა არ აქვთ; თვით ჩვენი „გასტუდენტებული“ შვილები ქართულ ხმას, სიმღერას არ კადრულობენ, მათი სმენა „კუდტურულია“ და „ხასანბეგურა“, „ხელხვავი“ მათ ნაზ ყურთა-სმენას აწუხებს. აი ასეთ მამულიშვილებზე უთქვამს პოეტს:

„ქართულზე, რომ ხელს იღებენ,
ვეღარც რუსულს ახერხებენ,
ტრედიაკოვსკის აქებენ
და რუსთველს კი აგინებენ,
ეს გახლავან ჭრელაძენი—
საქართველოს ფუჭი ძენი!“

ლოჟჰინპირელი

---

*) ყველა ეს ლექსები სასიმღეროა.

**) ზემო მოყვანილი ლექსები და ეს უკანასკნელიც დაწერილია და გადაღებული სიმღერაზე ყ. თავდგირიძისაგან, რომელიც კარგ მოლექსედ და მომღერლად ითვლებოდა გურიაში. ქობულეთელი თავდგირიძისაგან ბევრი საუკეთესო ლექსებია შემოტანილი გურიაში, მაგალითად „ხასანბეგურა“, სამხედრო სიმღერა; „ქობულეთური მაყრული“, „ორი-რამა“ და სხვა.

უცხოეთის წვრილი ამბები

—

ინგლისის კონსულმა ნეაპოლში დიდი თავხედობა ჩაიდინა, რის გამოც დიდი უსიამოვნებაც მიიღო. იმან შეადგინა „გზის მაჩვენებელი ქალაქ ნეაპოლისა“ თავის თანამემამულეთათვის. ამ გზის მაჩვენებელ წიგნში ავტორი, სხვათა შორის, ამბობს: „ნეაპოლელები ძალიან ჭკვიანი ხალხია, მაგრამ ქურდობენ და მეტის-მეტ უსირცხვილოდ სცრუობენ“. რათ თქმა უნდა, ასეთი „ქებათა-ქება“ არ მოეწონათ ნეაპოლელებს და ადგილობრივი გაზეთები დიდის სიბრაზით და მძულვარებით აღიძრენ ამ წინდაუხედავად წარმოთქმული უშვერი სიტყვების წინააღმდეგ. მუნიციპალურმა საბჭომ ერთის ხმით დაადგინა, მოითხოვონ ელჩის სამსახურიდან გადაყენება, ხოლო ნეაპოლის დეპუტატებმა პარლამენტში უნდა აღძრან კითხვა ამ საქმის შესახებ. რაც შეეხება უბრალო ხალხს, იმან ამჯობინა, მთლად ჩაელეწა საელჩო სახლის ფანჯრები.

* *

ამ ბოლოს დროს ინგლისელმა ქალებმა თითქმის ყველა დროს გასატარებელ შესაქცევ-გასართობებს თავი მიანებეს და აირჩიეს ერთად-ერთი „იარაღით ვარჯიშობა“ ანუ, ჩვენი ძველები რომ იტყვიან, „კენჭნაობა“. ლონდონელი ქალების აზრით, იარაღით ვარჯიშობა აღონივრებს, ამაგრებს, აკეკლუცებს და ამშვენებს ქალის აგებულებას. გაზეთების სიტყვით, ქალთა იარაღით ვარჯიშობის რამდენიმე კლუბიც დაარსდა და ვარჯიშობაში რამდენიმე კარგა დახელოვნებულ-გაწვრთვნილი ქალიც გამოჩნდა.

ეხლახან ერთს კლუბში ასპარეზზე გამოვიდნენ იარაღით ვარჯიშობის საჩვენებლად ამ კლუბის წევრი ქალები, რომელთაც განცვიფრებაში და აღტაცებაში მოიყვანეს დამსწრე საზოგადოება იარაღის მარჯვედ და კეკლუცად ხმარებით, რამაც დიდი აღტაცება და მოწონება გამოიწვია.

პირველი ჯილდო მიიღო ქ-ნმა სპეველიმ, მეორე ქ-მა კადოგანმა.

* *

ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ იტყვიან,—ერთ საბრალო დედაკაცს დაემართა ეხლახან ინგლისის ერთს ქალაქ რაილში. ეს დედაკაცი, ხუროს ცოლი, რამდენიმე წელიწადია ლოგინად არის ჩავარდნილი და სიდამბლის გამო ენა ჩავარდნილი ჰქონდა, ვერ ლაპარაკობდა. ამ დღეებში ამბავი მოუტანეს ამ ავადმყოფს, რომ იმის ოთხი წლის ვაჟი ურემმა გასრისა; ამის გაგონებამ ისე აღელვა და გაჰგმირა ავადმყოფი, რომ სიმწარით ენა ამოიდგა და მოთქმით იწყო ტირილი.

* *

ინგლისურს გაზეთებში მოყვანილია ლორდ-მეტუენის დამახასიათებელი ანეგდოტი. ინგლისის გენერალი ლორდი-მეტუენი, რომელიც ეხლა-ხან ბურების გამოჩენილმა სარდალმა დელარეიმ ტყვედ წაიყვანა და შემდეგ გაანთავისუფლა, საშინელი ღონიერი და ჩასხმული კაცია. იმის ვაჟკაცობას და გამბედაობას ყოველთვის აღტაცებაში მოჰყავნდა ინგლისელები. ერთხელ მეტუენს რაღაც უკმაყოფილება მოუვიდა მეეტლესთან. „თქვენ ეგრე ვერ ილაპარაკებდით, სხვა ადგილს რომ შემხვედრიყავითო“, —უთხრა განრისხებულმა მეეტლემ.-აბა მობრძანდით, ვცადოთ,—უპასუხა ლორდ-მეტუენმა და თან გასწორდა, საკრივოდ მოემზადა. მეეტლეც გადმოხტა ეტლიდან და დაიმკლავა. დაიწყეს კრივი. მეტუენმა პირველადვე ერთი ისეთი სთხლიშა მეეტლეს, რომ საბრალო ბზრიალასავით დატრიალდა და რამდენიმე ადლზე გაგორდა. მას შემდეგ კბილებ-ჩამტვრეული მეეტლე დიდ-ხანს ნანობდა თავის სულელურ გულმოსვლას.

* *

ერთმა სამხეცოს პატრონმა ასეთი განცხადება დაარიგა ქალაქში:

„მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულს საზოგადოებას, რომ ჩემს სამხეცოს ბევრი ახალი საშინელი მხეცი და ნადირი შეეძინა, ჩემი ცოლის დაბრუნების გამო სამხრეთ-ამერიკიდან“.

* *

ერთი ვილაც „უბაშფორტო“ ფილოსოფოსი ამბობს:

„ვისაც უნდა, რომ სამუდამოდ ქორწინება შესძულდეს, საჭიროა ცოლი შეირთოს“.

* *

„ცოლის მეზობელ ქალთან ხუთი წუთით მისვლა უდრის ქმრის ხუთი საათის სანეტარო განცხრომაში მოსვენებას.“

სასამართლო

I

19 მარტს, ქ. გორში, ტფ. ოლქის სასამართლოს სესიამ განიხილა საყურადღებო საქმე. პასუხის გებაში მიცემული იყო სურამის მომრიგებელ-მოსამართლეს მდივნის ყოფილი თანაშემწე აზ. ხუციშვილი. მოგვიყვანთ მოკლედ საქმის გარემოებას: გორის მაზრის მცხოვრებს მაღრაძეს რაღაც საქმე ჰქონია სურამის მომრიგებელ-მოსამართლეს გერასიმენკოსთან. საქმის გარჩევის წინა დღეებში, იმ განზრახვით, რომ საქმეც მის სასარგებლოდ გარდაეწყვიტათ, მაღრაძეს გერასიმენკოს გადასაცემად 300 მან. ქრთამი მიუცია მდივნის თანაშემწე ხუციშვილისათვის. ხუციშვილს, როგორც საქმიდან სჩანს, 300 მანეთიდან 100 მან. თითონ დაუტოვებია, ხოლო 200 მანეთი მოსამართლე გერასიმენკოსათვის გარდაუცია. გერასიმენკოს 200 მან. გაუგზავნია სასამართლო უწყების საქველ-მოქმედო საზოგადოებისათვის, ხოლო ხუციშვილი ასეთი მოქმედებისათვის სამსახურიდან დაუთხოვნია.

საქმის გარჩევის დროს ოლქის სასამართლოს სესიის სხდომაზე მოწამე მაღრაძეს განუცხადებია, რომ 300 მან. გერასიმენკოს მან პირადად გარდასცა; თვით ბრალდებული კი ამბობდა, რომ ეს ფულები გერასიმენკოს წერილთან ერთად სურამში ტფილისიდან გაუგზავნეო.

სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ხუციშვილი და გარდაუწყვეტია მისთვის პირად თუ მდგომარეობით მოპოვებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა-გამასწორებელ რაზმში ერთის წლის ვადით გაგზავნა.

II

ამავე დღეს ოლქის სასამართლოს სესიას განუხილავს საქმე გორის მაზრის, სოფ. სხლიე-

---

ხელიც ჰქონდა მოხვეჭილი როგორც ლიტერატორს. ოლე ბოლმაც სწორედ იბსენი მოიწვია თავის თეატრისათვის, რიგორც დრამატურგი და ტრუპის რეჟისორი. ბერგენის თეატრის გამგე იყო იბსენი 1857-მდე. თითქმის ამავე დროს ამავე მიზნისათვის ქრისტიანიაში მიიწვიეს ბიერნსონი. ყოველ წელს ორ იანვარს იბსენს ახალი პიესა უნდა წარმოედგინა. ახალგაზდა დრამატურგის პირველი პიესები ისტორიულ—რომანტიულია, თუმცა მათში უფრო მეტია ისტორიული სიმართლე და სინამდვილე, ვიდრე იმ დროის სხვა რომანტიულ პიესებში, რომელთაც დანიურ ენაზედ თამაშობდნენ ნორვეგიაში.

1857 წელს დაიბეჭდა ბიერნსონის მოთხრობა „სინევ სოლბაკენი“, მას მოჰყვა იბსენის დრამა „ჩრდილოეთის გმირები“. ორივე ნაწარმოები ითვლება ნორვეგიულ ლიტერატურის ახალ ხანის სათავედ; ისინი ამ ლიტერატურის ნამდვილი ეროვნული ნიმუშებია. ბიერნსონის მოთხრობები ნორვეგიელ გლეხების ცხოვრებიდან სრულებით ახალის ფორმისანი იყვნენ. ავტორი კარგად იცნობს გლეხის ცხოვრებას და არ ღალატობს სინამდვილეს ამ ცხოვრების დახატვის დროს, თუმცა სცდილობს მოთხრობის საგნად მისი საუკეთესო მხარე აიღოს; ბიერნსონის ენა მეტად მარტივია, რაც სრულებით უცხო იყო ნორვეგიელებისათვის, და ხალხისათვას ადვილი გასაგები. ბიერნსონის თხზულებები პირველ გამოსვლისათანავე დიდათ მოეწონა ნორვეგიელ საზოგადოებას.

სულ სხვა იყო იბსენის „ჩრდილოეთის გმირების“ ბედი. ამ პიესაში წარმოდგენილია ძველი ნორვეგიის ვიკინგების ცხოვრება სრულის ისტორიულის სინამდვილით და სწორედ ეს საკვირველი რეალიზმი იყო, რომ მეტად ეჩოთირათ ნორვეგიელებს. პატრიოტები სასტიკად უსაყვედურებდნენ იბსენს, რომ მან ეს ძველი გმირები ასე მოუხეშავნი და პოეზიას მოკლებულნი გამოიყვანა. ამითი მწერალი ჩირქს სცხებს ჩვენ წარსულსო, გაიძახოდნენ შორს ვერ მხედველი პატრიოტები. რაც შეეხება დანიურ კულტურის მომხრეთ, ესენი დასცინოდნენ საზოგადოთ ყველას, ვინც კი „რაღაც ახალ ლიტერატურას“ ჰქმნიდნენ და „გლეხურ ენაზე“ სწერდნენ.

იბსენი ახალ-გაზდურის მხურვალებით ებრძვის ეროვნულ აღორძინების მტრებს. 1859-ში იგი ბიერნსონთან ერთად აარსებს ქრისტიანიაში „ნორვეგიულ საზოგადოებას“ და მწარე ეპიგრამებით, სატირიულ ლექსებით და პამფლეტებით მოსვენებას არ აძლევს მოწინააღმდეგეთ. ამავე დროს იგი სცდილობს გაავრცელოს საზოგადოებაში თავისი შეხედულება დრამატიულ ხელოვნებაზე. დრამის დანიშნულებაა ცხოვრების სინამდვილით დახატვა, ახალ-აზრების გავრცელება და საზოგადოების აღზრდაო, უმტკიცებდა იბსენი საზოგადოებას, რომელიც აქამდე შეჩვეული იყო რომანტიულს, ცხოვრებას სრულებით დაშორებულ დრამას. მალე დასწერა კიდეც იბსენმა ასეთი დრამა—„სიყვარულის კომედია“. ასეთ პიესას მისი ახლო მეგობრებიც კი არ მოელოდნენ, იმდენად გაბედულად არის იგი დაწერილი. „სიყვარულის კომედია“ პიროვნების მხურვალე პროტესტია საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ სიცრუისა და სიყალბის წინააღმდეგ; ავტორი იწვევს საომრად მთელ საზოგადოებას, მწარედ დასცინის მის ზნე-ჩვეულებას, სიყვარულის გრძნობის გათახსირებას, რომელიც თანამედროვე ქორწინებას შეუქმნია. ერთის სიტყვით იბსენის ამ დრამას ემჩნევა ყველა ნიშნობლივი თვისება შემდეგ მის ლიტერატურულ მოღვაწეობისა. მართალია, იბსენი შემდეგშიაც დაბრუნებია ისტორიულ და საზოგადო კაცობრიულ ტემებს, მაგრამ უმთავრესი მისი საგანი თანამედროვე საზოგადოება და მისი საჭირ-ბოროტო კითხვები არის.

ნორვეგიული საზოგადოება მეტად ააშფოთა და ააღელვა იბსენის „სიყვარულის კომედიამ“. იგი მიჩვეული იყო ნორვეგიულ ხასიათისა და ცხოვრების გადაჭარბებულ ქება-დიდებას და ამიტომ იბსენის რეალისტიური დრამა მას საშინელ ცილის-წამებად ეჩვენა. ავტორს, რასაკვირველია, საშინლად ლანძღავდნენ, მისი კერძო ცხოვრებაც-კი არ დასტოვეს ხელ-შეუხებელი. გულ-ნატკენი მწერალი, რომელიც ასე გაუგებარი იყო მაშინდელ საზოგადოებისათვის, სტოვებს სამშობლოს ტ მთელი 10 წელიწადი უცხოეთში სცხოვრობს. ამ ხნის განმავლობაში მან გაითქვა სახელი ევროპაში და ბოლოს ნორვეგიაშიაც. ასე რომ, როცა იგი სამშობლოში დაბრუნდა 1874 წელს, საზოგადოება მას აღტაცებით მიეგება.

ნორვეგია საბოლოოდ გამოეთხოვა რომანტისმს და ცალიერ, უშინაარსო პატრიოტობას ლიტერატურაშიაცა და ცხოვრებაშიც.

თის მცხოვრებ გვარად ფუხაშვილებისა, რომელთაც ბრალად ედებოდათ ტფილისის სასამართლო პალატის მიწის მზომლის მირაქოვისათვის სამსახურის აღსრულების დროს წინააღმდეგობის აღმოჩენა. სასამართლოს პასუხისგებაში მიცემულნი ყოფილან 10 კაცი ფუხაშვილები. სასამართლოს აღნიშნულ ბრალდებულთაგან სამი უდანაშაულოდ უცვნია და გაუმართლებია, ხოლო დანარჩენნი—დამნაშავედ და გადაუწყვეტია ორისათვის 8 თვის ვადით ციხეში დაპატიმრება და 5 კაცისათვის ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევა და $1\frac{1}{2}$ წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა თითოეულისათვის.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

22 მარტი

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ 22 მარტს მოავსებული ახალი წესდება სასულიერო უწყების ქალთა სასწავლებლების.

ტამბოვი. გუბერნიის ზოგიერთ ადგილებში გავრცელებულია სახადი; სენის გაძლიერება შიმშილობის მიზეზი არ არის. გარდაიცვალა ორი ექიმი; სენი შეეყარა აგრეთვე მოწყალების ორს დასა და ფელდშერს.

სარატოვი. საერობო დამზღვევ საზოგადოებათა აგენტების კრებამ საჭიროდ დაინახა გადადებულ იქმნას დაზღვევის ახალის კანონების შემოღება. მოწვეულ იქმნება საგუბერნიო საერობო საგანგებო კრება.

ნიჟნე-ტაგილსკი. გლეხებს შორის ღრძილის ავადმყოფობა გაძლიერდა.

ლიბავა. აქ მოვიდა გემი, რომლით ინგლისიდან გამოუგზავნეს მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას კარგის ჯიშის საქონელი.

ვარშავა. ჰენრიხ სენკევიჩის იუბილეის დღესასწაულის გამმართველმა კომიტეტმა დაბეჭდა ანგარიში. იუბილარის სასარგებლოდ შეაგროვეს 107.000 მანათი.

ვარშავა. პრუსიის მთავრობამ ნება დართო, რომ რუსეთიდან თავის საზღვარზე გაატარებს იმათ, ვინც ამერიკაში გადასახლებას აპირებს, თუ ისინი პასპორტებს წარმოადგენენ და 400 მარკას გადიხდიან.

ხარკოვი. დამტკიცდა წესდება სიცოცხლის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებისა; ეს პირველი მაგალითია რუსეთში ამგვარი საზოგადოების დაარსებისა.

ყაზანი. სახალხო ჯანმრთელობის დამცველ საზოგადოების კომიტეტს სჯა ჰქონდა ღრძილის ავადმყოფობასთან ბრძოლის შესახებ. დაადგინეს ურჩიონ საგუბერნიო ერობას გახსნას მაზრებში პატარა საავადმყოფოები.

უსკიუბი. ნოვი-ბაზარში შეგროვდნენ შეიარაღებული არნაუტები ბურგომისტრის ხაკი-ბეის გადაყვანის გამო პროტესტის გამოსაცხადებლად. ოსმალეთის მთავრობამ განკარგულება გამოსცა ქრისტიანთა დაცვის შესახებ.

ლონდონი. „დაილი ქრონიკლ“-ი იტყობინება, რომ მილნერი თხოულობს სამი მილიონი გირვანქა სტერლინგის გადადებას სამხრეთ-აფრიკაში ახალის რკინის გზების გასაყვანად.

კრონშტადტი. დელარეი და კემპი 20 მარტს შტეინთან იყვნენ.

ვენა. »ნეი ფრეიე პრესს“-ის სიტყვით, ნოვი-ბაზარში, კოლეშინესთან, შეტაკება მოუვიდათ არნაუტებსა და სერბიელებს.

ნიჟნი-ნოვგოროდი. საქალაქო თეატრი იჯარით მისცეს 3 წლით ანტრეპრენიორს ლინტვარევს.

მოსკოვი. მამონტოვის მამულის საჯაროდ გასყიდვა შეაჩერეს; შემოვიდა 40-ათას მანეთზე მეტი.

5 მაისს დანიშნულია ასოთ-ამწყობთა შეკრება.

სოფია. ნახევრად-ოფიციალური გაზეთი „ბოლგარი“ აცხადებს: „მთავრობა სასტიკად წინააღუდგება მაკედონელთა უკანონო მოქმედებას; მაგრამ მთავრობას არ შეუძლია სახელმწიფოში არ შემოუშვას ის მაკედონელნი, რომელთაც თავი უნდათ შეაფარონ ბოლგარიას.“

ბერლინი. ეს არის ახლა დასრულდა ხელის-მოწერა რუსეთის სესხზე; კაპიტალისტები 100-ჯერ მეტს იძლევიან, ვიდრე საჭირო იყო. ეს მით უფრო შესანიშნავია, რომ სესხის განაღდება მოხდა, როდესაც ბირჟაზე კრიზისი იყო. ამ გარემოებას ჰხსნიან რუსეთის საფინანსო ფონდის კარგ მდგომარეობაში ყოფნითა და იმ ნდობით, რომელიც საზღვარ გარედ დაიმსახურა რუსეთის ახლანდელმა საფინანსო მმართველობამ.

ლონდონი. კიტჩენერი დეპეშით იუწყება, რომ იმან გაგზავნა 18 მარტს გენერალი გალტერომი რაზმით მდინარე გარტუსკენ. რაზმმა მიაგნო მტრის ზარბაზნების კვალს და დაედევნა ბურებს, მაგრამ, როდესაც ჯარი გაიფანტა გაშლილს მინდორზე, ბურებს მაშველი ჯარი მოუვიდათ და იერიში მიიტანეს. დაიწყო საშინელი ბრძოლა. ბურები ყველა ალაგს მოიშორეს. დელარეი და კემპი ამაოდ ცდილობდნენ ბურები დაეყოლებიათ, რომლებიც 1,500 კაცი იყო, რომ ბრძოლა ახლად დაეწყოთ. ბურებმა ძალიან იზარალეს; ინგლისელებმაც ძალიან ბლომად დაჰკარგეს; იმათგანი ერთი რაზმი იბრძოდა, ვიდრე ხალხი სულ არ დაიხოცა და დაიჭრა.

პარიჟი. გაზეთ „ავრორეს“ სიტყვით, ვალდეკ რუსსოს აზრადა აქვს მთელის კაბინეტით სამსახურს თავი დაანებოს არჩევნების შემდეგ კი არა, არჩევნების წინ, რომ ამით გამოიჩინოს სრული ნეიტრალობა არჩევნების საქმეში.

კონსტანტინეპოლი. სმირნიდან იტყობინებიან, რომ იქ ექვსს ბატალიონს მოუწოდეს; ორი მათგანი სალონიკში მიდის.

პეტერბურგში. 21 მარტს მოსკოვში გაემგზავრა დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე მეუღლით.

23 მარტი.

რიგა. შემახელების სასარგებლოდ აქ შეაგროვეს 2556 მანეთი.

იურიევი. ზმიგრადსკიმ გამოსცა ბროშიურა, რომელშიაც არკვევს, სად სცხოვრობდა ჟუკოვსკი, როდესაც იურიევში იყო 1815 წლიდან 1818 წლამდე და 1841 წლიდან 1842-მდე.

პარიჟი. ელჩმა თავ. ურუსოვმა სადილი გაუმართა გენერალს პუზირევსკის. დაესწრნენ სამხედრო უწყების უფროსი მოხელენი და საელჩოს წევრები. პუზირევსკი დღეს წავიდა ვარშავში.

რადომი. რადომის საქალაქო მმართველობა თხოულობს სესხის აღების ნებართვას; სულ უნდა ისესხოს 500 ათასი მან. წყლის მილისა, კანალიზაციისა და საყასპოების გასაკეთებლად.

ოდესა. ოდონტოლოგების კრებაზე, რომელიც წელს იქმნება მოწვეული ადესაში, აირჩევენ წარმომადგენლებს საერთა-შორისო ფედერაციაში, რომელიც არსდება ყველა ქვეყნების სპეციალისტების გაერთიანებისათვის. ფედერაცია ეცდება მოაწყოს საექიმო დახმარების საქმე სასწავლებლებში და ჯარებში და აგრეთვე ღარიბთა შორის.

ბერლინი. საქსონიის მთავრობამ ბრძანება გასცა, რომ ამიერიდან ფრეიბერგის სამთო აკადემიაში უცხოელთაგან, უმთავრესად რუსთაგან, მიიღონ ხოლმე ისინი, ვისაც ტეხნოლოგიური ინსტიტუტი გაუთავებია, რადგანაც დღემდის აკადემიაში საკმაოდ მომზადებულნი არ შედიოდნენო.

ალჟირი. რუსეთისა და საფრანგეთის ესკადრების პატივსაცემლად გუბერნატორმა საუზმე გამართა. დალიეს სადღეგრძელო ორთავე სახელმწიფოთა მმართველებისა.

გროზნო. ცეცხლი წაეკიდა ახვერდოვის სანავთო კოშკებს. იქვე მეათე დღეა სცემს ნავთის შადრევანი, რომელიც იძლევა დღეღამეში 200,000 ფუთს ნავთს.

პეტერბურგი. დაინიშნენ: კიევის ეპარქიის მეორე ვიკარი ყოვლად სამღვდელო სერგი პსკოვის და პორხოვის ეპისკოპოსად, ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორი არხიმანდრიტი ბენიამინი—გორის ეპისკოპოსად, ალექსანდროვის სამისიონერო სემინარიის რექტორი დიმიტრი—ალავერდის ეპისკოპოსად, მოსკოვის ოქროპირის მონასტრის წინამძღვარი ისიდორე—ნოვგოროდის ეპისკოპოსად.

„ტორგოვ. პრომიშ. გაზეთი“ იტყობინება, რომ ამ დღეებში პეტერბუგში სჯა ექნებათ იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყონ რკინის გზების იურისტების პირველი კრება.

21 მარტს მარშანი და სოვაჟი სადარბაზოდ იყვნენ გარეშე საქმეთა მინისტრთან, ზღვათა მინისტრთან და უმთავრეს საზღვაო შტაბის მინისტრთან.

22 მარტს საფრანგეთის ელჩმა მონტებელლომ ინახულა პოლკოვნიკი მარშანი და დიდ-ხანს ესაუბრა მას. იმავე დღეს ფრანგთა კალონიამ პეტერბურგში გაუმართა მარშანსა და სოვაჟს „რესტორან მედვედ“-ში ნადიმი.

საფრანგეთის ელჩმა მონტებელლომ იმათვე გაუმართა ვახშამი.

ლებედიანი. აქაურ სავაჭრო პროგიმნაზიის გიმნაზიად გადაკეთებისათვის შემოწირულებათა შესაგროვებლად კერძო ხელის მოწერა გაიმართა. პირველ დღესვე 1,600 მანეთი შეგროვდა.

პეტერბურგის ბირჟა 23 მარტს

ვექსილის კურსი 6 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,05	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,75	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,65	
ბირჟის დისკონტი	$4\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}$%	
4% სახელმწიფო რენტა	$96\frac{5}{8}$	გაყიდ.
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	$98\frac{3}{4}$	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	464	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	351	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	303	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—	
$4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის [illegible] ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

განცხადებანი

ზ ი ზ

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

გვრის მოედანზე, ყაფანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.

ტელეფონი № 754. (წ.).

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ მარტიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქ გარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **5** მან. და **25** კაპ. (კაპეიკები ფოსტის მარკებით შეიძლება გამოიგზავნოს).

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).



ორშაბათს, 25 მარტს, გაიხსნება ტფილისში, მადათოვის კუნძულზე,

ფ. ი. ფეცის დიდი მუზეუმი.

მუზეუმში 100-მდე სხვა-და-სხვა საგანია. მრავალი ახალი სანახავი! სცენაზე ბევრი ახალი სანახავია პარიზიდან: 1) დაფნა, დევნილი აპოლონისაგან; 2) გალატეა, მარმარილოს პატარძალი და სხვა. მუზეუმი გახსნილია **ყოველდღე** დილის 10 საათიდან საღამოს 11-მდე; წარმოდგენების დასაწყისი ნაშუადღევის 2-დან. დაწვრილებით იხ. აფიშებში. (20—4)

მზადდება პიესების კრებული

„ცხოვრების სარკე“

მე-III წიგნი, რომელშიაც დაიბეჭდება 7—10 (შვიდიდან ათამდის) ჯერ დაუბეჭდავი ახალი პიესა: ავაზაკები (ყაჩაღები), ტრაგედია 5 მოქ. შილლერისა, დრამები, კომედიები, ვოდევილები, სცენები, ლექსები, წერილები თეატრის შესახები, სურათები მსახიობ-მოღვაწეთა და სხვათა შორის, ვლ. მესხიშვილისა (სხვა-და-სხვა როლებში).

რადგანაც ამ გამოცემას დიდი ხარჯი უნდება, ამიტომ საზოგადოებას გსთხოვთ ხელი მოგვიმართოს წიგნის დაკვეთაში, ე. ი. თვითო წიგნი წინდაწინვე დაიკვეთოს **ერთ მანეთად,** შემდეგ **მეტი ეღირება.**

ფული შეიძლება ფოსტითაც გამოიგზავნოს ხელის-მომწერლის სრულის ადრესით. წიგნი გამოსვლის უმალ გაეგზავნება ხელის-მომწერთ. გასაგზავნ ხარჯსაც ჩვენ ვიხდით. ჩვენი ადრესი: Тифлисъ, книжная торговля, Іосифу Зах. Имедашвили. (5—2)

Дозволе) цензурою Тифлисъ, 23 Марта 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.